# ივერია

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

1877—1889

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889



ქუთაისში, აფთიაქის ქუჩაზე, მიქაბერიძის სახ., კოკოჩოვის აბანოს პირდაპირ, ეყიდი

**ნამდვილს ღვინოებს.**

ფუთობით 2—5 მანეთამდე, ბოთლობით 15—30 კაპ.

(3—1) ზ. ყიფიანი.



ქართული თეატრი

კვირას, 12 თებერვალს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა პირველად:

I

**ჯერ თავი და თავი**

კომედია 3 მოქ. ლაბიშისა, ფრანგულიდამ გადმოკეთებული კნ. ან. თუმანიშვილის მიერ.

II

ახირებული

ვოდევილი 1 მოქმედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


ტფილისი, 9 თებერვალი

ბ-ნ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავადმყოფობისა, რომელიც ამ დღეებში დაბეჭდილი იყო „ივერიაში", მეტად შესანიშნავი წერილია. შესანიშნავია მით, რომ ჩვენში ჯერ არავის წამოუყენებია იგი მიზეზი ჩვენის ვენახების და ვაზის უღონობისა, რომელიც ბ-ნმა ვეზიროვმა ხსენებულ წერილებში გვაჩვენა. საბუთები, მოყვანილი ბ-ნ ვეზიროვისაგან თავის აზრის დასამტკიცებლად, ძალიან შეუაზედ ახლო არიან და იმოდენად საკმაოდ გამორკვეულნი, რომ კაცმა უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს პატივცემულის ავტორის აზრსა.

დედა-აზრი ბ-ნ ვეზიროვისა იგია, რომ მიწა, რომელზედაც გაშენებულია ჩვენში ვაზი, მოიღალაო. ამოდენა ხანია ვაზი სწოვს ერთსა და იმავე მიწასა და, რა საკვირველია, მიწა იმდენად გაღარიბდეს, რომ ვაზის საზრდოდ და სახეიროდ ბევრი აღარა შერჩენოდესო. ეს აზრი იმ უტყუარს საბუთზე აქვს დამყარებული, რომ სხვა ყოველს მცენარეს სწორედ ესევე შედეგი მოსდევს, თუ ზედი-ზედ მოჰყავთ ერთსა და იმავე მიწაზედა. ეს კანონი მიწის მოქმედებისა ყველამ კარგად იცის, დიდმა თუ პატარამ, გლეხმა თუ თავადმა. ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე მიწაზედ ზედა-ზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცენარე. ნაქერალში ქერს არავინ დასთესს, ნაპურალში პურს, თუ მცენარე არ უცვალა. თუ ყოველი სხვა მცენარე ისე სწოვს მიწასა, რომ მეორე წელს იგივე მიწა იმ მცენარესათვის აღარ ვარგისობს, რატომ ვაზის გამოც ეს არ უნდა ვიფიქროთ მით უფრო, რომ ვაზი არამც თუ ერთსა და ორს წელიწადს, არამედ ოცსა და ოც-და-ათს წელიწადს ერთსა და იმავე მიწაზედ ჰდგას და ერთისა და იმავე მიწიდამ გამოაქვს თავისი საზრდო და სასმელ-საჭმელი.

ყოველი ორგანებური არსება, მცენარეა თუ ცხოველი, დიდად დამოკიდებულია საჭმლის ავ-კარგიანობასა და მეტ-ნაკლებობაზე. თუ საჭმელი არ უვარგა, ან ნაკლები აქვს, თითონ არსებაც მჭლეა, უღონო, უძლური. მჭლე, უღონო და უძლური არსება წინადვე განმზადებულია სენისთვის, ადვილად შეიყრის ყოველ გვარს სენსა, ადვილად დაეჩაგვრინება, ადვილად დაიძლევა, რადგანაც როგორც მთელი აგებულება, ისეც ყოველივე ცალკე ასო იმოდენად დაუძლურებული აქვს, რომ სენთან ბრძოლისათვის სენის მოსარევად არაქათი არა აქვს. თუნდ რომ სენიც არ იყოს, უღონო მცენარე დიდსა და ბევრს ნაყოფს ვერ გამოიღებს, გამოსავალი არა აქვს. ჩვენს ვენახებს სხვათა შორის უმოსავლობასაც უჩივიან: საცა უწინ დღიურს მიწას ხუთას-ექვსასი თუნგი მაინც უნდა გამოსვლოდა, დღეს ასს-ორასს თუნგს ძლივს-ღა სწურავენ ვენახის პატრონები.

ყოველს ამას ბ-ნი ვეზიროვი აბრალებს მიწის მოღალვას. მიწა გაცვდა და ვაზი ეხლა ვეღარ ჰშოობს იმოდენის სიუხვითა და სიკარგით თავის საზრდოს მოღალულს მიწაშიო. ეს მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ძალიან შეუაზედ ახლოა. ნამეტნავად იმ მაგალითებსა და საბუთებს შემდეგ, რომელიც ბ-ნ ვეზიროვს მოჰყავს. რა არის ამისი წამალი? რამ უნდა უშველოს აქ გაჭირებულ საქმეს? რითა და რა გზით უნდა მიენიჭოს ვაზისაგან გამოწოვილსა და მოღალულს მიწას წინანდელი ნოყიერება, რომ ვაზმა უწინდებულად იხეიროს და თავი ივებოს?

ბ-ნმა ვეზიროვმა ამის საპასუხოდ მიჰმართა თითონ ბუნებას და მიწათ-მოქმედების მეცნიერებას. აქედამ გამოარკვია, რომ ნაყოფთა-ცვლა თითქმის ერთად-ერთი სახსარია ხელ-ახლად გაღონიერდეს მიწა რომელისამე მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია. ამისათვის მეტად საყურადღებო საბუთები მოჰყავს როგორც თავის საკუთარის გამოცდილებით გამოძიებული, ისეც სხვისაგან შემეცნეული და დანახული. შორს რომ არ წავიდეთ, თითონ ჩვენშიაც ცნობილია ღირსება ნაყოფთ-ცვლისა. ჩვენმა მხვნელ-მთესველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ მიწას უნდა შეუცვალოს ხოლმე მცენარე, ქერს, პურს, სიმინდს იგი მუდამ უცვლის ხოლმე, თუ ერთსა და იმავე მიწაზედ უნდა ერთ-ერთის მოყვანა.

საკითხავი ეს არის: როგორ მოუხერხდეს ნაყოფთ-ცვლა ვენახსა? ამაზედ ბ-ნი ვეზიროვი, როგორც ფრთხილი მაძიებელი საქმისა, არაფერს გვეუბნება. „აი საგანიო, ამბობს იგი: რომელიც ღირსია მცოდნეთა მევენახეთა დაკვირვებისა და გამოკვლევისაო. ვინც ამ საგანზე სწორე პასუხს მოგვიგებს, იგი გვასწავლის მევენახეთა ბედნიერების საიდუმლო კარის გაღებასაო". მართალი, რომ დიდად და დიდად ღირსია კაცმა ამ საგანს გაუმტეროს ცოდნისა და გამოცდილების თვალი. ნაყოფთა-ცვლა იმ ადგილას, საცა ვაზია დარგული, შეუძლებელია, თუ ვაზი არ გადიკაფა და იმის სანაცვლოდ სხვა რამ არ დაითესა. ამ გარემოებამ დააბრკოლა უსა-

# ფელეტონი

## ზადიგი*)

### X

#### მონობა

როცა ეგვიპტელთა სოფელში შევიდა, გარს ხალხი შემოეხვია და დაიწყო ყვირილი:

— აი მომტაცებელი მშვენიერის მისსუფასი და მკვლელი კლეტოფისასიო!

— ბატონებო, უპასუხა ზადიგმა: ღმერთმა დამიფაროს თქვენის მისსუფას მოტაცებისაგან, იმ მეტად ჟინიანისა და თავის ნათქვამის დედაკაცისა; რაც შეეხება კლეტოფისს, გეფიცებით, რომ მე-კი არ მომიკლავს, მე ჩემს თავს ვეუფრთხილდებოდი და ვიცავდი, პირ-იქით, იმას უნდოდა ჩემი მოკვლა, რათა მთხოვე შებრალება მშვენიერის მისუფასიო, რომელსაც იგი უწყალოდა სცემდა. გარმიანელი ვარ და მინდა ეგვიპტეს შემოვაფარო თავი და აბა რა დასაჯერებელია, ვითომ ქალის მოტაცებითა და კაცის მკვლელობით დამეწყოს თხოვნა შველისა და შემწეობისა.

ეგვიპტელები მაშინ მეტად სამართლიანნი იყვნენ. ბრბომ ხალხისამ მიაცილა ზადიგი საქალაქო სახლამდე. ჯერ ჰრილობა შეუხვიეს და შემდეგ საქმის გარემოების გამოძიებას შეუდგნენ. დარწმუნდნენ, რომ ზადიგს ფიქრადაც არა ჰქონოდა კაცის მოკვლა, მაგრამ ადამიანიშვილის სისხლი დაენთხია და ამითი ბრალეულს მონობა ეწერა სასჯელად. იმისი ორი აქლემი სოფლის სასარგებლოდ გაჰყიდეს და მის მიერ თან წაღებული ოქროც მკვიდრთ გაინაწილეს. თვით ზადიგიკი მსახურითურთ გაიყვანეს მოედანზე და დაუწყეს საჯაროდ ყიდვა. ერთმა არაბმა ვაჭარმა, სახელად სეტოკმა, იყიდა ეს ორი კაცი; მსახურში უფრო მეტი სასყიდელი გადაიხადა, რადგან იგი ბატონზედ უფრო ღონიერი, ზორბა და საქმის ამტანი კაცი იყო. ზადიგი თავისის მსახურის ხელ-ქვეითი შეიქმნა. ორსავე ბორკილები გაუყარეს და ასე წაიყვანეს ვაჭრის სახლში. ზადიგი გზაზედ ანუგეშებდა თავისს მსახურს, მოთმინებას ურჩევდა და, თავისის ჩვეულებისამებრ, ასე სჯიდა ადამიანის ცხოვრებას:

— მე ვხედავ, რომ ჩემი უბედურება შენც არ გასვენებს და გერჩის. ამიერამდე ჩემი ცხოვრება საოცრად და ახირებულად აიკინძა. ფულად ჯარიმა გადამიწყვიტეს გაქცეულის ძაღლის ნახვისათვის; კინაღამ ფარშევანგმა ერთი ვაი-ვაგლახი არ დამმართა; დასჯასავე მიპირებდნენ იმ ოთხ-ტაეპოვანის ლექსის გამო, რომელშიაც მეფეს ქება-ხოტბას ვასხამდი; უნდა დაეერჩეთ იმის გამო, რომ დედოფალი ყვითელს წინდებს ატარებდა, და აი ეხლაც აქა ვარ მონად შენთან ერთად მხოლოდ იმის გამო, რომ ერთმა გაუთლელმა და გაუზრდელმა კაცმა თავისს საყვარელს ქალს ცემა მოუნდომა. წავიდეთ, წავიდეთ, იმედსა და სასოებას ნუ დავკარგავთ, ერთხელაც იქნება ბოლო მოეღება ასეთს მდგომარეობას. არაბეთის ვაჭრებს მონები უნდა ჰყავდეთ და რატომ მე არ უნდა ვიყო მონად, როგორც სხვანი არიან, მეც ხომ ისეთი ადამიანი ვარ? ეს ვაჭარი, უეჭველია, კარგად მოგვეპყრობა, რადგან ჩვენგან სარგებლობასა და ხეირს გამოელის.

ასე ჰლაპარაკობდა ზადიგი და გული-კი ბაბილონის დედოფლისაკენ უქროდა, იმასთანა ჰქონდა.

ვაჭარი სეტოკი ორს დღეს შემდეგ მივიდა უდაბნო არაბეთს თავისის მონებითა და აქლემებით, იმისი ტომი უდაბნო ხორებას იყო დასახლებული. გზა ძნელი და გრძელი გამოიარეს. სეტოკი გზაზედ მსახურს უფრო აფასებდა, უპირატესად ექცეოდა, რადგან იგი უფრო უკეთ ჰკაზმავდა აქლემებსა და უკეთ ჰკიდებდა ტვირთს.

ხორებამდე ჯერ კიდევ ორის დღის საველი გზა ჰქონდათ, რომ ერთი აქლემი მოუკვდათ. ტვირთი მონებმა გაინაწილეს და ზადიგმაც თავისი წილი წამოიკიდა. სეტოკმა ხარხარი დაიწყო, თავისს წელში მოხრილს მონებს რომ უყურებდა. ზადიგმა გაჰბედა და აუხსნა სეტოკს ის ბუნების კანონი, რომლის გამოც ტვირთის მზიდველნი წელმოხრილნი იყვნენ. ვაჭარი პირ-დაღებული გაოცებით შესცქეროდა. ზადიგმა რაკი თავისის პატრონის ასეთი გაოცება დაინახა, ლაპარაკს უმატა და ბევრი სასარგებლო რამ აუხსნა და გააგებინა. შეატყობინა თვისება ბევრის სახეირო პირუტყვისა და ისიც ასწავლა, თუ როგორ უნდა გარდაექმნა სასარგებლოდ უსარგებლო პირუტყვი. არაბი იმის ფიქრს შეუდგა, რომ ეს კაცი ბრძენი უნდა იყოსო. სეტოკი ეხლა თავისს მონათა შორის ყველაზედ მეტს პატივს ზადიგსა სცემდა.

როცა თავისს ტომში მივიდა სეტოკი, ერთს ებრაელს სამი ათას მისხალ ვერცხლის თხოვნა დაუწყო, რომელიც მოწმეთა წინაშე ესესხებინა. მოწმები გარდაცვლილიყვნენ და ებრაელი ვალს უარსა ჰყოფდა. სეტოკმა თავისი დარდი განუზიარა ზადიგს, რომელიც ეხლა თავისს ერთად-ერთ მრჩევლად და გზის მასწავლებლად მიაჩნდა.

— რა ადგილას ასესხეთ ვალი?— ჰკითხა ზადიგმა.

— განიერს ქვაზედ, ხორების კლდეს ახლოს, უპასუხა სეტოკმა.

— რა ხასიათის კაცია ეგ ებრაელი?

— დიდი გაიძვერაა და დიდად გაქნილი.

— მაგას კი არ გეკითხებით, ეს მიპასუხეთ: უფრო ცოცხალის ხასიათისაა, ჩქარ-სწრაფისა, თუ დინჯია, დაფიქრებული; მოხერხებულია, თუ გაუფრთხილებელი?— ჰკითხა ზადიგმა.

— ვალის გადახდა ჭირივით ეჯავრება და ძალიან მკვირცხლი კაცია, რამდენადაც-კი ვიცნობო, უპასუხა სეტოკმა.

— მაშ კარგიო, სთქვა ყმაწვილმა კაცმა: სასამართლოში თქვენს მაგიერ მე წარვსდგები და მე დავუწყებ ფულის დავას.

მართლაც-და ზადიგმა სასამართლოში დააბარებინა ებრაელი და ასე მიჰმართა მსაჯულს:

— მე ჩემის ბატონის მაგიერ ვითხოვ მომცეს, ბატონო მსაჯულო, ის სამი ათასი მისხალი ვერცხლი, რომელიც იმან ამ კაცს ასესხა.

— მოწმები გყავს?—ჰკითხა მსაჯულმა.

— არა, მაგრამ ის ქვა ეხლაც მთელია, რომელზედაც ებრაელმა ნასესხი ფული ჩაითვალა. თუ ნებას მომცემთ მოვატანინო ის ქვა, დამამტკიცებელ საბუთობას გაგვიწევს. ჩვენ-კი ებრაელითურთ მანამდე აქ დაველოდით.

— ძალიან კარგიო, სთქვა მსაჯულმა.

როცა მსაჯულმა ყველა საქმე გაარჩია და სახლში დაბრუნების დრო მოუვიდა, მიჰმართა ზადიგს:

— აბა, მოიტანეს ეგ თქვენი ქვა?

ებრაელმა ჩაიცინა და წამოიძახა:

— თქვენო უბრწყინვალესობავ! ხვალამდისაც ტყუილად მოელოდინებით, რადგან ის ქვა აქედგან ექვს ათასის ვერსის მანძილზე იქნება და თხუთმეტი კაციც არა კმარა, რომ ადგილიდგან ძვრა მისცენო.

— აი, ბატონო მსაჯულო, ამ კაცს ქვა სცოდნია, ჰხსომებია, მაშ იმ ქვაზედ ფულიც უსესხნია და ჩაუბარებიაო, უთხრა ზადიგმა.

ებრაელი, მეტი ღონე აღარ იყო, გამოტყდა, მართალი აღიარა და ფულებიც გადაიხადა. ზადიგს-კი ამ დღიდგან დიდი სახელი გაუვარდა მთელს არაბეთში.

### XI

#### კოცონი

ზადიგით აღტაცებულმა სეტოკმა მონა პირველ მეგობრად გაიხადა. ყმაწვილს ამასთანაც არ დაემართე-

*) იხ. „ივერია" №№ 12, 14, 19 და 25.

თუოდ პატივცემული ავტორი, რომ წესი ნაყოფთ-ცვლისა ბოლომდინ არ მიიყვანა ვაზის შესახებ. მართლადაც ძნელი გასაბედია ამისი თქმა. ამდენის ვაივაგლახით აშენებული და გამართული ვენახი როგორ გამოიმეტოს კაცმა! მეორეს მხრით, ესეც ანგარიშში მისაღებია: თუ ვენახი თავის ხარჯს ვეღარ აყენებს, თუ საკმაო მოსავალს აღარ მოგვცემს, თუ გაგვაღარიბებს, რისდა მაქნისია? ამ ორ წყალ შუა დგომა ჩვენთა მევენახეთათვის მეტად მძიმე და ძნელი საქმეა. რა თქმა უნდა, ვენახების გადაკაფვას ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ ურჩევს ვენახის პატრონსა, ხოლო ამ ნაყოფთა-ცვლის საჭიროებას-კი ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღალულ მიწას თავისი ძალ-ღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს.

ამ საგანზედ ერთი აზრი მოგვივიდა ჩვენ და იქნება შესაწყნარებელი გამოდგეს. ამიტომაც საჭიროდ ვხედავთ აქ წარმოვსთქვათ. იქნება შესაძლო იყოს იმისთანა მცენარე რამ მოინახებოდეს, რომ ვაზებ შუა მოვიყვანოთ და მოღალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმისს საზრდოს მოჭარბებისათვის. მინამ ამ სარჩიელს მივიღებდეთ, ჯერ, რასაკვირველია, საჭიროა გამოვარკვიოთ: ნაყოფთ-ცვლაში რა მოქმედობს მიწის გაღონიერებაზედ წინანდელ მცენარისათვის? ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბუნება ამზადებს მიწას წინანდელ მცენარისათვის მით, რომ მიწა იმ მცენარისათვის ისვენებს, თუ თითონ შეცვლილი მცენარე ამზადებს მით, რასაც იგი სტოვებს მიწაში? თუ ეს უკანასკნელია, მაშინ ჩვენი სარჩიელი თავის საბუთს ჰპოულობს და, მაშასადამე, შესაძლოა, გამოგვადგეს კიდეც. არ იქნება მეტი, რომ ამ მხრითაც ჩაუკვირდეს კაცი ძველვანდელს გაჭირებას ვენახებისას, რაკი გულს დავაჯერებთ, რომ მიზეზი გაჭირებისა მიწის მოღალვაა და სახსარი ხსნისა ნაყოფთა-ცვლა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნაკი „შესხმა გრაფი მ. ტ.-ძე ლორის-მელიქოვი", თქმული დავით გივიშვილისაგან. ეს წიგნაკი, ვითომ და ლექსად დაწერილი, იმდენად უშნო და უგვანოა, რომ ხელშიაც ასაღები არ არის. ავტორს თუ გამომცემელს, არ ვიცით რა უფლებით, წიგნაკში ჩაურთავს ჩვენის გაზეთიდგან ამოღებული მოკლე აღწერა განსვენებულის გრაფის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

*** ორი კაი საგანი აქვს განსახილველი ჩვენის ქალაქის საბჭოს—ერთი არის წინადადება ხმოსან კალოუბნელისა, როგორც მკითხველს ეხსომება, შესახებ ტფილისის სანიტარულ მოწყობილებისა, და მეორეც—სარჩიელი ხმოსან მიქელაძისა, რომელიც შეეხება იმას, რომ წესიერებაში მოიყვანოს ქალაქმა ვაჭრობა ხორცეულობისა. როგორც პირველი, აგრეთვე ეს მეორე საგანი დიდად საყურადღებოა ჩვენის საბჭოსათვის და იმედიც უნდა ვიქონიოთ, ქალაქის ეხლანდელი საბჭო იმითი მაინც გამოიჩენს თავსა, რომ ამ მხრივ საძირკველი ჩაუგდოს ტფილისის გამჯობინებას. დღევანდელი წესი ხორცეულობის ვაჭრობისა უწესოებაზე უარესია. საკლავს თითქმის არავინ არა ჰშინჯავს. ვისაც-რა უნდა, იმასა ჰხოცავს და საცა უნდა, იქა ჰხოცავს. მართალია, ქალაქსა ჰყავს თავისი ფერშალი, ბეითალიცა ჰყავს, მაგრამ თვალ-ყურის გდება ამ საქმისა ისე ძნელია, რომ ბეითალიცა და ფერშალიც რომ მუდამ თავს ედგას საყასბოს, კიდევაც ვერ აუვა ამ საგანს. თუ მხედველობაში იქონიებთ, რომ ჩვენი ყასბები სხვა ადგილებზედაცა ჰკლავენ ხვადაგს, სადაც ყოვლად შეუძლებელია კაცმა თვალ-ყური ადევნოს, მაშინ ადვილად დაინახავთ, რამდენად დახათრიჯამებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ საკლავი მუდამ სალი და ჯანმრთელი უნდა იყოს, თორემ დიდად საშიშოა ავადმყოფ ხვადაგის ხორცის ხმარება. ეს საგანი აქვს სახეში ხმოსან მიქელაძეს. ამასთანავე, როგორც ვიცით, ბ-ნს მიქელაძეს კიდეც შეუთვალიერებია ისეთი ადგილები, სადაც ჩუმადა ჰკლავენ ყასბები ხვადაგს და ასაღებენ მხმარებლებზე. ამისთანა ადგილები არის, სხვათა შორის, კუკიაში, ავჭალისა და ნიკოლოოზის ქუჩის შუა მირზოევისეული დიდი ადგილი, სადაც მრავალ ხვადაგს აყენებენ და ჰყიდიან, აგრეთვე ცარიელი ეზო ამ მამულის პირდაპირ, ავჭალის ქუჩაზე, და კიდევ მრავალი სხვა ეზოები, სადაც უეჭველად უნდა აღეკრძალოსთ ხვადაგის ყიდვა და კვლა.

*** ცხრა თებერვალს, დილის ცხრა საათზე, ნავთლუხის საცალ-ფეხო ბილიკზე იპოვეს მოკლული კაცი. როგორც ეტყობა, გათენებისას მოუკლავთ. მკვლელებს მაღლა მინდორზე დაუჭრიათ და სდომებიათ მტკვარში გადაგდება, მაგრამ გვამი წყლის პირას დამდგარა, პატარა ბექურზე.

*** კავკავში, იქაურის ქართულის სკოლის სასარგებლოდ, რომელსაც განაგებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ამ დღეებში გაუმართავთ მასკარადი. სკოლის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი დარჩენილა ცამეტი თუმან ნახევარი.

*** **ქართლი:** ძალიან ლეღმა დაიჭირა ჩვენში; ის იმდენი თოვლი ბარად სულ ჩადნა, მხოლოდ მთის ძირებს-ღა შერჩა. მუდამ ჰწვიმს და ლეღმაა. მაგრამ ყინვებმა-კი ძრიელ დავვაზარალა. ასე ამბობენ, ხეხილი და ვაზი სამამულედ ამოვარდაო. ტყეში ხეები ყინვამ ისე გაჰყინა, რომ ხმელ შეშასავით ეკიდებოდა ნედლს ხესაო. ზოგან ვენახებში ვაზი უნდა აიჩეხოს და ახალი ჩაიყაროსო.

*** **გორი:** გორის „ინტელიგენციამ", როგორც იყო, ძლივს მოახერხა წარმოდგენის გამართვა. ამ თთვის ჩვიდმეტისათვის იქნება წარმოდგენა; წარმოადგენენ: „ეჭვით ავადმყოფს" მოლიერისას, „დედა და შვილს" ი. ჭავჭავაძისას. ამას გარდა იქმნება დივერტისმენტი—წაიკითხავენ ხალხურს სცენებსა და ლექსებს. მონაწილეობას იღებენ ყველა საუკეთესო სცენის მოყვარენი და, იმედია, ხალხი ბლომად დაესწრობა.

*** **იქიდამვე:** წარსულს კვირაში აქ დასჭრეს ერთი ოსი, ი. ფარნაშვილი. საზოგადოდ აურზაური ძლიერ ჰყვარებია ამ კაცს; ხანდისხან ოსებს, თუ ქედანა გლეხებს ადვოკატობასაც უწევს; ხშირად ბახუსის თაყვანისცემაში ატარებდა დრო-ჟამს. ამას წინად დუქანში გადაუკრავს. იმავე დუქანში შესულა ერთი აქაური კაცი; აბლაკატს შეუკურთხებია; სამხედრო კაცსაც არ დაუკლია; „აბლაკატს" შემოუკრავს; იმას-კი ამოუცლია ხანჯალი ბ-ნ „აბლაკატისათვისვე" და მიუჩეხნია. ამ საქმეზე გამოძიება სწარმოებს.

*** **ხიდისთავი:** კვირას, ამ თთვის 5-ს, ჩვენს სოფელში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: აზნაური გაბო ალექსიძე და იმისი მეზობელი კარისა ერთმანეთზედ გადაკიდებულნი ყოფილან. ამ თთვის 5-საც ლაპარაკი მოსვლიათ და ერთმანეთისათვის შეუკურთხებიათ. მეზობელს გლეხს გ. ალექსიძისათვის თავში კეტი დაურტყავს და უსულოდ დაუშვია მიწაზედა. წაქცეულს მივარდნია და სამგან მძიმედ დაუჭრია ხანჯლით. ერთგან ისე დაუცია ხანჯალი, რომ ერთის გვერდიდამ მეორეში გაუტანია. განსვენებული მშვიდობიანი კაცი იყოვო, ახალგაზდა, ესე ოც-და-ორის ან, ოც და-სამის წლისა.

*** გაზეთ „ტფილისის ფურც."-ს ნამდვილის წყაროდგან შეუტყვია, რომ განსვენებულის გრაფ ლორის-მელიქოვის ქვრივს მთავრობამ დაუნიშნა ხუთი ათასი მანეთი პენსია წელიწადში. განსვენებულის დასაფლავებისათვის ხაზინას მიუცია ხუთი ათასი მანეთი.

*** რუსულს ჟურნალ „Сѣверный Вѣстникъ"-ში დაბეჭდილია „წერილები საქართველოდგან" (დასაწყისი) ბ-ნ ნ. დ—ისა.

*** 8 ამ თთვისას, მესამე განყოფილებაში, პოდპოლკოვნიკ კაპლუკოვს, რომელიც სარა-

---

ბოდა ის საქმე, რაც ბაბილონის სულთანთან დაემართა: სეტოკი უცოლო იყო და ეს გარემოება ზადიგსაც ასიამოვნებდა. ყმაწვილმა კაცმა შეატყო თავისს ბატონს კეთილი გული, პატიოსნება და კაცური კაცობა. იგი ძალიან სწუხდა, ჩემი ბატონი თაყვანს რადა სცემს ვარსკვლავებს, მზესა და მთვარეს, არაბთა ძველის-ძველ ჩვეულებისამებრო. ამ საგნის გამო ხანდახან დაელაპარაკებოდა ხოლმე კიდეც, ფრთხილად და შორიდგან ჩამოუგდებდა სიტყვას. ბოლოს პირდაპირ გამოუცხადა, რომ ეგ მნათობნი ისეთისავე თაყვანის-ცემის ღირსნი არიან, როგორც ხე, სალი კლდე და სხვანიო.

— არაო, უპასუხა სეტოკმა: ეს მნათობნი საუკუნო არსებანი არიან და იმათზეა დამოკიდებული ჩვენი ავად თუ კარგად ყოფნა. ესენი აცხოველებენ ბუნებას, ამათს წესზე ტრიალებს ქვეყანა. ისე შორს არიან ჩვენგან, რომ უსათუოდ უნდა გვწამდეს და პატივსა ვსცემდეთ.

— მეწამული ზღვა უფრო სასარგებლოა თქვენთვის, რადგან ამ ზღვითა ჰგზავნით ინდოეთს საქონელსაო, უპასუხა ზადიგმა: ეს ზღვაც ისევე დიდის ხნისაა, როგორც ვარსკვლავნი რაც შეეხება იმას, რომ პატივს უნდა ვსცემდეთ ცის მნათობთ, რადგან ჩვენზედ მეტად შორს არიანო, მაშ უნდა გვწამდეს განგარიდთა დედამიწაც, რომელიც ქვეყნის ძირზედ იმყოფება.

— არაო, სთქვა კვლავ სეტოკმა: ვარსკვლავნი მეტად ბრწყინვალენი არიან და უპატივის-მცემლობას ვერ გავუბედავთო.

დაბინდდა. ზადიგმა დაანთო დიდძალი სანთლები იმ ოთახში, სადაც სეტოკსა და იმას ვახშამი უნდა ექამათ, და დაინახა თუ არა იქითკენ მიმავალი თავისი ბატონი, ანთებულ წმინდა სანთლების წინ მუხლი მოიყარა და შესთხოვა:

— საუკუნო და ბრწყინვალე მნათობნო, მუდამ ჩემი მეოხ და მწყალობელ იყავით!

სთქვა ეს სიტყვები, დაჯდა სუფრად და სეტოკისთვის არც-კი შეუხედნია.

— ეგ რა ჰქმენითო?—ვეღარ მოითმინა დაიკითხა გაკვირვებულმა სეტოკმა.

— მეც თქვენსავით ამ სანთლებს ვსცემ თაყვანს და ბატონი ჩემი-კი არად მიმაჩნიაო—მიუგო ყმაწვილმა კაცმა.

სეტოკი მიხვდა ამ შედარების ღრმა აზრს, მონის სიბრძნემ იმისს გულამდისაც ჩააღწია და ის იყო და ის, იმ დღიდგან გუნდრუკს აღარ უკმევდა ცის მნათობთ, მხოლოდ ამ მნათობთა შემქმნელი სწამდა და მხოლოდ იმას ეთაყვანებოდა.

არაბეთში მაშინ ერთი ახირებული ჩვეულება ჰსუფევდა. ეს ჩვეულება სკითიიდგან გავრცელებულიყო, მოსდებოდა მთელს ინდოეთს ბრამინთა გავლენით და მთელს აღმოსავლეთს ჰლამიდა გავრცელებას. როცა ცოლიანი კაცი კვდებოდა, იმისს ცოლს საჯაროდ თავისის ქმრის უსულო კაცთან ერთად თავი უნდა დაეწვა კოცონზედ, თუ უნდოდა წმინდათა შორის ჩარიცხულიყო. ამისთანა დღეს დიდის ამბით იხდიდნენ იქაურნი და ამ დღესასწაულს ქვრივთა კოცონს უწოდებდნენ. ყველაზე მეტად უფრო იმ თემსა და ტომსა სცემდნენ პატივს, რომელშიაც ბევრს დაქვრივებულს დედაკაცს დაეწვა თავი.

სეტოკის ტომის ერთი არაბი გარდაიცვალა. იმისმა ცოლმა, მშვენიერმა ალმონამ, საშინელმა თვალთ მაქცმა ადამიანმა, ის დღე და საათი გამოაცხადა, როცა იგი კოცონის ცეცხლს უნდა მისცემოდა და თან ბუკნი და წინწილანი უნდა აეყვირებინათ. ზადიგმა დაუმტკიცა სეტოკს, რომ ეგ ჩვეულება ფრიად არა-ადამიანურია, არ-მოსაწონი ღვთისათვისაცა და კაცისათვისაცაო. ყოველ დღე მშვენიერ ახალგაზდა ქვრივ დედაკაცებსა სწვავენ და ჩვენც გულ-გრილად შევყურებთ ამ სანახავს, ტაშსა ვსცემთ, ვუწონებთ და ვაქეზებთო. ეს დედაკაცები-კი კიდევ ბევრს სახელმწიფოსათვის სასარგებლო მოქალაქეს შეჰქმნიდნენ და თავიანთის ობლების აღზრდა და კაცად ქცევა შეეძლებოდათო. იგი არწმუნებდა სეტოკს, რომ ასეთი ბარბაროსული ჩვეულება უეჭველად უნდა მოსპოთ და გადააგდოთო.

— ათასს წელზე მეტია, რაც დედაკაცებს სწვავენო, ამბობდა ვაჭარი: და აბა ვინ გაჰბედავს დროთა მიერ დამკვიდრებულს და დაკანონებულს ჩვეულებას აღუდგეს წინა? და ან რა არის იმ შეცდომაზედ პატივ-საცემი, რაც ძველის-ძველია, დიდის ხნისა?

— ჰკუაო, უპასუხა ზადიგმა: ჰკუა უფრო ძველის-ძველია, გონება უფრო დიდის ხნისაა. თქვენ ტომის უფროსებს მოელაპარაკეთ და მე-კი წაველ და ახალგაზდა ქვრივსა ენახავ.

ზადიგი წარსდგა ქვრივის წინაშე და დაიწყო სიფრთხილით და სიცბიერით იმისის გულის მონადირება. უქებდა სიტურფეს, უწონებდა სიმამაცეს და ქმრის ერთგულებას.

— დიდად სამწუხაროა, რომ თქვენი სიტურფე და ყმაწვილ-ქალობა შეუბრალებელმა და სასტიკმა ცეცხლმა უნდა შთანთქასო, გადაუკრა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა: გეტყობათ, რომ გაგიჟებით უნდა გყვარებოდეთ ქმარიო.

— მე? სულაც არაო, უპასუხა ქვრივმა: ჩემი ქმარი მეტად გაუთლელი კაცი იყო, ჩემი მტანჯველი, და ძალიანაც მძულდა. დიაღ, ასე გახლდათ, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი მაქვს, რომ ცეცხლს მივეცე და კოცონზედ დავლიო სული.

— მაშ გეტყობათ ძალიან გესიამოვნებათ ცეცხლში დაწვა!

— ახ! ამ გვარის სიკვდილით თვით ბუნებაც-კი შეძრწუნდებოდა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვსო, უპასუხა ყმაწვილმა ქალმა: მე ღვთის-მორწმუნე ვარ. სახელი გამიტყდება და ჩვენი ქვეყანა ყბად ამიღებს, ქმარს შემდეგ სიცოცხლე რომ ვინდომო.

რაკი დარწმუნდა ზადიგი, რომ ხალხის მიერ ყბად აღებას უფრთხოდა ქვრივი და ამიტომ განეზრახა თავის დაღუპვა, დიდხანს ებაასა და სცდილობდა სიცოცხლე შეეყვარებინა. ქალის გული სრულიად მოინადირა და დაიმორჩილა თავისის მჭევრის ლაპარაკით. ბოლოს ჰკითხა.

— მაშ რას იზამდით, სახელის გატეხვის ფიქრი რომ არა გქონდეთ?

— რასა? ჩემს შერთვასა გთხოვდით და ბედნიერად ვიცხოვრებდი თქვენთანაო, მიუგო ყმაწვილმა ქალმა.

ზადიგს მეტად ფიქრისაგან განუშორებელი ჰყავდა ასტარტა და როგორ დასთანხმდებოდა სხვისა ვისმე შერთვას. იგი წავიდა ტომთა უფროსებთან, ზემოდ აღწერილი ამბავი გადასცა და ურჩია: ბრძანება გამოეცით, რომ ქვრივს მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდეს ნება თავის დაწვისა, როცა ერთს საათსაც არის მარტოდ-მარტოს მომელაპარაკება და სურვილს თავის დაწვისას მაინც არ უკუ აგდებსო. იმ დღიდგან ერთს დედაკაცსაც არ დაუწვავს თავი არაბეთში. ზადიგის მადლობელნი უნდა იყვნენ, რომ ერთს დღეში შეიძლო და ასეთს სასტიკს ჩვეულებაზედ ხალხს ხელი აალებინა. იგი შეიქმნა მთელის არაბეთის კეთილის-მყოფელი.

### XII
### ვახშამი

სეტოკმა თავისი განუშორებელი მეგობარი მიიყვანა ბასსორის საქულბაქოზედ, სადაც მთელის ქვეყნის დიდებულნი ვაჭარნი უნდა შეყრილიყვნენ. ზადიგი ყურადღებით ჰსინჯავდა იმდენს ხალხს, სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან შეკრებულთ, და ამ სინჯვით ჰსიამოვნებდა კიდეც. ყმაწვილს კაცს ეგონა, რომ მთელი ქვეყანა ერთი დიდი ოჯახია და ამ ოჯახს ბასსორში მოუყრია თავიო. მეორე დღეს იმასთანავე სუფრად იჯდა ეგვიპტელი, ინდოელი, ჩინელი, ბერძენი და მრავალი სხვა უცხო-ქვეყნელი, რომელთაც ბევრი ევლოთ არაბეთის ზღვის ყურეში და კარგადაც ესმოდათ არაბული.

ჯოვის სახლში სცხოვრებს, მოსამსახურემ, აზნაურმა ხუნდაძემ, მოჰპარა ჩანთიდგან ორასი მანეთი ფული. ხუნდაძე დაჭერილია და თავის თავი დამნაშავეთ იცნო. უპოვეს ხუთი თუმანი ფული. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, მესამე განყოფილებაში, ალექსანდრეს ბაღში უპოვნიათ ახლად დაბადებული მიგდებული ვაჟი, რომელიც შვიდის დღისა უნდა იყოს. ბავშვი გაჰგზავნეს საზებიო ინსტიტუტში.

## მთავრობის განკარგულებანი

ე ბ ო ძ ა წარჩინებისათვის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა უმცროსს ცენზორს ამიერ-კავკასიის საცენზურო კომიტეტისას, სტატსკი სოვეტნიკს ი ს ა რ ლ ო ვ ს, და დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით სამსახურიდგან (1889 წ. 23 იანვრიდგან).

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნის თანხმად საქმეთა-მწარმოებელი ზაქათალის ოლქის სასამართლოსი, კოლლეჟსკი ასესორი ზ უ რ ა ბ ო ვ ი, მუნდირით.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: კანდიდატი ტფილისის სამოსამართლოს პალატაში სამსახურისა, თავადი ივანე ა ფ ხ ა ზ ი, თხოვნის თანახმად, აღმასრულებლად უმცროსის საგანგებო საქმეთა მოხელესი ტფილისის გუბერნატორთან ჯამაგირით.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: მდივანი ტფილისის ოლქის სასამართლოსი, გუბერნიის სეკრეტარი, თავადი ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი-დ ო ლ გ ო რ უ კ ი, მდივნად ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორთან, ამ წლის 3 თებერვლიდგან.

გ ა მ წ ე ს ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა: სამსახურში ქუთაისის მოქალაქე პეტრე მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თხოვნის თანახმად, ტფილისის სამოსამართლო პალატის კანცელარიის მე-2 ხარისხოვან მოხელედ.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: სამსახურიდგან ავადმყოფობის გამო საქმეთა-მწარმოებელი რაჭის სამაზრო გამგეობისა, აზნაური ბაგრატ ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ოც-და-რვა დღით, ამ წლის 30 იანვრიდგან.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მე-XVIII-ტე)

როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველთ, რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ჟურნალში (ტომი III, გვ. 223—260) დაიბეჭდა წერილი „ბალავარის“ შესახებ. ავტორი ამ წერილისა, ახალგაზდა მეცნიერი ნიკო მარი ვრცლად განიხილავს ძველს ქართულ წიგნს „სიბრძნე ბალავარისა“ და ამ წიგნს ადარებს ბერძნულსა და არაბულს წიგნებს ბალავარზედ.

სამსავე ენაზედ მოთხობის დედააზრი (ფაბულა) ერთი და იგივეა, ხოლო ქართული მცირეოდენად განირჩევა მეორეთაგან. რაც ბერძნულ-არაბულ მოთხრობებში თქმულა რამდენსამე დაუსახელებელ კაცზე, ყოველივე ის ქართულში ნაამბობია ბალავარის შესახებ. აქვე სამსავე ენაზედ ავტორს მოჰყავს ისეთი ადგილები, რომელნიც შინაარსით ერთნი არიან, მაგრამ წიგნის სხვა-და-სხვა ადგილას არის ნაამბობი. ამას გარდა ქართულში არ არის აწერილი ქვეყანა ინდუსტანისა, ხოლო ბერძნულის წიგნის დასაწყისს ეს ქვეყანა აწერილია. დასახელებულია კიდევ მრავალი ადგილი და სახელი, რომელიც განსხვავდება ქართულსა და არაბულ-ბერძნულ მოთხრობაში. ამას გარდა ბერძნული მოთხრობა ყველგან უფრო ვრცელია, რთული, ვიდრე ქართული, რომელსაც ეტყობა სიმარტივე, მოკლე სიტყვაობა. ამისი მაგალითებიც ავტორს ჩართული აქვს იქვე.

მოთხრობა შეიცავს იგავებსაცა და მოძღვრებათაც, რომელნიც ცოტად თუ ბევრად განსხვავდებიან სამსავე ენაზედ. მაგ., მესამე იგავი ქართულში არის იგავი კაცსა და სპილოზედ, ბერძნულში: „იგავი მდიდარსა და ლაზარეზედ“, არაბულში „სპილოსა და კაცზედ“. მეოთხე იგავი სამსავე ენაზედ: ქართულში: „იგავი სამს მეგობარზედ“, ბერძნ: „იგავი ქორწინებისა“, არაბ: „იგავი კაცსა და იმის სამს მეგობარზედ“; და სხ. და სხ.

ძველის სიტყვებისა და მოთხრობაში მათს შეკავშირების მიხედვით ავტორი ჰფიქრობს, რომ ქართული „სიბრძნე ბალავარისა“ ეკუთვნის მე-XII საუკ. წინა წლებს, ანუ წინა საუკუნოებსაც. ამ გვარი სიტყვებია, მაგ., უნე (ცხენი), ალნადგინები (სარგებელი), მოზადა (მოუწოდა), იქცა (დაბრუნდა), მოიხვნა (მოილო), არავე (და არა) და სხ.

წიგნში ნ. მარს შეხვედრია აგრეთვე სიტყვა მჭვრინავი (ბულბული). ამ სიტყვის შემწეობით ავტორი სცდილობს დაამტკიცოს სიძველე „სიბრძნე ბალავარისა“. „ბულბული“ შემოვიდა საქართველოში მე-XII საუკუნის შემდეგ სპარსთა ლიტერატურის ზედ-გავლენის გამო, ხოლო ამაზე წინად ამავე ფრინველს ერქვა იადონი, რომელიც ბერძნული სიტყვაა და შემოვიდა საბერძნეთიდგან. ეს სიტყვა იხმარება ვისრამიანშიაცაო. რაღა საკვირველიაო, რომ არც ბულბული და არც იადონი არ იხმარებოდა საქართველოში მაშინ, როდესაც „სიბრძნე ბალავარის“ ავტორმა იხმარა ქართულივე სიტყვა «მჭვრინავიო».

ბოლოს ავტორი ამბობს: ჯერ-ჯერობით ნაადრევი გვგონია რაიმე გარდაწყვეტილი სიტყვა ვსთქვათ... ქართულის ენის სხვა ვარიანტებიც, იმედია, აღმოჩნდება, და მათი შესწავლა მოგვცემს შეძლებას გავიგოთ მნიშვნელობა «სიბრძნე ბალავარისა» „ბარლაამ და იოსაფატის“ აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ გადანერგვის შესახებაო...

ესომ

## უცხოეთი

იტალია. უკანასკნელმა დეპეშებმა სამწუხარო ამბები მოგვიტანა იტალიიდამ. რომში შეიყარა დიდ-ძალი მშიერი მუშა ხალხი ცოლ-შვილითა და ითხოვდა სამუშაოს. შემდეგ დაამტვრია მაღაზიები და გაცარცვა დუქნები მეპურეებისა და ხაბაზებისა და ბოლოს დიდი წინააღმდეგობაც გაუწია შეთოფ-იარაღებულს პოლიციას. ამ უწესოების მიზეზი, როგორც ამბობენ, ისა ყოფილა, რომ მთავრობას შეუყენებია მუშაობა ზოგიერთ სახელმწიფო საქმეებისა და მრავალი მუშა ხალხი ამის გამო ულუკმა-პუროდ დარჩენილა. საზოგადოდ კი მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. საქმე ის არის, რომ იტალიამ სულ ამ რამდენისამე წლის წინად გაინთავისუფლა თავი და გაერთიანებულმა ერთ სახელმწიფოდ დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. ქვეყანამ თვალები გაახილა, თავისუფლად ამოისუნთქა და დიდის გულმოდგინებით მოისურვა ახალის, უკეთესის წეს-წყობილების დამყარება, ახალის რეფორმების შემოღება. მაგრამ სწორედ ამ დროს მთელს ევროპაში დაიწყეს შეთოფ-იარაღება და აუარებელის ჯარის მზადება. იტალიაც, მეტი ღონე არ იყო, უნდა აჰყოლოდა სხვა სახელმწიფოებს და გაეძლიერებინა ჯარი და დიდი ხარჯი გაეწია შეთოფ-იარაღებისათვის. ამას გარდა ახალს სახელმწიფოს ბევრი სხვა ხარჯიც მოუნდა. წინად ეს ქვეყანა ძრიელ იყო უკან ჩამორჩენილი: არც გზები ჰქონდა რიგიანი, არც სკოლები, არც ქალაქები მოწყობილი; ერთის სიტყვით, ბევრი რამ აკლდა და ამ ნაკლებულობის შესასრულებლად დიდი ხარჯი მოუნდა. ეს ხარჯი მძიმე ტვირთად დააწვა ერს, რომელიც მხოლოდ ხვნა-თესვითა და ღვინის მოსავლითა სცხოვრობს. ხოლო ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ხვნა-თესვამა და ღვინის მოსავალმა ძალიან იკლო და დაიქვეითა არა მარტო იტალიაში, არამედ მთელს ევროპაშიაც. ახლა იტალიის სახელმწიფო ვალი 13 მილიარდი ლირი აქვს. დაუმატეთ ამას ერთ მილიარდზე მეტი ვალი ცალკე პროვინციებისა და თემებისა. სამხედრო ხარჯი 1878 წელს იყო 246 მილიონი, ამ წელს-კი ერთი-ორად მეტია. ხარჯი ასე მატულობს და შემოსავალი-კი სახელმწიფოს თითქმის სრულიად არ ემატება, თუმცა ბაჟი და სახელმწიფო ხარჯი ყოველ-წლობით ბევრდება. სახნავ-სათეს მიწებზე ამ ჟამად 8 მილიარდამდე ვალი ირიცხება.

ამისთანა ყოფაში რა გასაკვირველია, რომ ერი დიდს გაჭირებაში ჩავარდეს და ლუკმა პურის ნატრული შეიქმნას. მართალია, კრისპი, ეხლანდელი მთავარ-მინისტრი, რადიკალების მოთავე და დიდი მომხრე ერის კეთილდღეობისა, ბევრსა სცდილობდა და სცდილობს კიდეც, მაგრამ იმაზედაც, როგორც ეტყობა, ჟამი მეფობს. კერძოდ მუშა ხალხისათვის კრისპიმ უკვე განკარგულება მოახდინა, რომ სახელმწიფო შენობათა საქმეს კვლავ შეუდგნენ და რამდენ-

---

ეგვიპტელი, როგორც ეტყობოდა, ძალიან გულზედ მოსული და განრისხებული იყო:

— რა საზიზღარი ქვეყანაა ეს ბასსორაო, ამბობდა იგი: ათასს ოქროს ვერ იმეტებენ, რომ ყველაზედ საუკეთესო ნივთი შეიძინონ?

— რა ნივთია აგეთიო? — იკითხა სეტოკმა.

— ჩემის დეიდის გვამიო, სთქვა ეგვიპტელმა: საუკეთესო დედაკაცი იყო, ფრიად პატიოსანი მთელს ეგვიპტეში. თან დამყვებოდა ყველგან და არა მშორდებოდა. გზაზედ გარდაიცვალა. ავიღე იმისი გვამი და მშვენივრად შევმურე, მუმია გავაკეთე და მინდა გავყიდო. ჩვენს ქვეყანაში რომ ვიყვე, ყველაფერს მომცემენ სასყიდლად, რასაც-კი მოვინდომებ. აქ-კი ათასის ოქროს მოცემა ვერ გაუბედნიათ.

ამ გარემოებით აღელვებულსა და აღშფოთებულს ეგვიპტელს ის იყო ლამაზად და ცივად მოხარშული დედალი უნდა შეეჭამა, რომ ინდოელმა ხელის დაჭერით შეაყენა და მწუხარედ შესძახა:

— რას სჩადიხართ?

— ქათამი მინდა ვჭამოვო, უპასუხა ეგვიპტელმა.

— რაო? გაიოცა ინდოელმა: დაიცა, ხომ შეიძლებოდა, რომ შენის გარდაცვალებულ დეიდის სული ამ ქათამს ჩასდგომოდა, განა დეიდის ჭამას მოინდომებდით. ქათმის მოხარშვა ხომ ბუნების შეურაცხყოფაა.

— რას ამბობთ, არ მესმის, საიდგან სადაო? იკითხა სულ-სწრაფმა ეგვიპტელმა: ხარს ჩვენც დიდს თაყვანსა ვსცემთ, მაგრამ საჭმლად-კი არ ვიწუნებთ.

— ხარსა სცემთ თაყვანს? ნუ თუ მართლა? შეუძლებელია! — გაიოცა ჩინელმა.

— შეუძლებელი არა არის-რა, სთქვა მეორემ: ას ოც-და-თხუთმეტი ათასი წელიწადია, რაც ხარის ხორცსა ვსჭამთ და არავის გაჰკვირვებია ჩვენში.

— რაო, ას ოც-და თხუთმეტი ათასიო, — სთქვა ინდოელმა: — ეგ რიცხვი ცოტა გაზვიადებულია; სულ ოთხმოცი ათასი წელიწადია, რაც ინდოეთი დასახლებულია, და ჩვენ-კი თქვენი წინაპარნი ვართ; ამასთან ბრამამ ჩვენ მაშინ აღგვიკრძალა ხარის ხორცის ჭამა, როცა ჯერ თქვენ მსხვერპლად არც-კი შეგეწირათ და იმისი გემო არ გაგეღოთ.

— რა ნადირია ეგ თქვენი ბრამა, აპისს ან-კი შეედრება, სთქვა ეგვიპტელმა.

ინდოელმა უპასუხა:

— ბრამამ ასწავა ადამიანიშვილთ წერა-კითხვა და იმანვე მოიგონა ნარდი.

— სცდებითო, დაიძახა იმის გვერდით წამომჯდარმა ქალდეველმა: ეგ სიკეთე სულ თევზმა ოანნესმა დაგვდო და მხოლოდ იმას უნდა ვსცემდეთ თაყვანს. მთელი ქვეყანა იტყვის, რომ ეს თევზი ჭეშმარიტად ღვთიური არსება იყო, ოქროს ბოლო ება და კაცის თავი ჰქონდა. იგი წყლიდგან ყოველ დღე გამოდიოდა და სამ საათსა ჰქადაგებდა. ამ თევზს ბევრი ვაჟიშვილები ჰყავდა, რომელნიც მეფეებად იყვნენ. მე ამ თევზის სურათი მაქვს და ჯეროვანს თაყვანსაცა ვსცემ. ხარი შეგიძლიანთ იმდენი მიირთვათ, რამდენიც გნებავდესთ, მაგრამ თევზის ხარშვა-კი ღვთის გმობაა. ამასთან ისეთის ძველის ერისანი არა ხართ, რომ ამ მხრივ შემომეკამათოთ. ეგვიპტელთა ერი მხოლოდ ას ოც-და-თხუთმეტის წლის მოვლენილი ყოფილა, ინდოელთა — ოთხმოცის ათასის წლისა და ჩვენ-კი ოთხის ათასის საუკუნის მატიანენი გვაქვს. დამიჯერეთ, თქვენს სისულელეს თავი დაანებეთ და ორსავე თევზის ოანნესას მშვენიერს სურათს დაგირიგებთ.

კამბალმა სთქვა:

— მე პატივსა ვსცემ ეგვიპტელთ, ქალდეველთ, კელტებს, ბრამს, ხარს აპისას, მშვენიერს თევზს ოანნესს, ხოლო ლი, ანუ ტიეკი ხარსაცა სჯობია და თევზსაცა. არაფერს ვიტყვი ჩემს ქვეყანაზე, იგი სამივეს ერთად დაიტევს, ეგვიპტესაც, ქალდიასაცა და ინდოეთსაც. ძველის ეროვნებით არ მოვიწონებ თავს, რადგან ძველს ეროვნებას ბედნიერება სჯობია. ხოლო თუ მატიანეებზედ ასტყდება კამათი, ვიტყვით, რომ აზიამ ჩვენგან გადიღო მატიანენი და ჩვენ ჯერ კიდევ მაშინა გვქონდა, როცა ქალდეაში არითმეტიკა არც-კი იცოდნენ.

— თქვენ ყველანი მეტად ბრიყვნი და უვიცნი ხართო! — შესძახა ბერძენმა: — განა არ იცით, რომ ყველაფრის დასაწყისი და დასაბამი ქაოსია და რომ ფორმამა და ნივთიერებამ ჩააყენეს ქვეყნიერება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც ამ ჟამად არის.

ეს ბერძენი დიდხანსა ლაპარაკობდა. ბოლოს კელტმა გააწყვეტინა სიტყვა, რომელიც სხვათა კამათობის დროს ბევრსა ჰსვამდა და თავისი თავი ყველაზე მეცნიერად, მცოდნედ მიაჩნდა. იგი ჰფიცულობდა, რომ ტეიტატი და მუხის ნაყოფი უფრო ღირსი ლაპარაკისა, ვიდრე თქვენი ხარი, თევზი და სხ. ამ ნაყოფს მე ყოველთვის ვატარებ და არასოდეს არ განვიშორებ ხოლმეო. შემდეგ დაიწყო ბაასი სკითების შესახებ, თავისის წინაპრებისა, რომელნიც, იმისის აზრით, ერთად-ერთნი კეთილნი არსებანი იყვნენ მთელის ქვეყნისანი, თუმცა, მართალია, კაცსა სჭამდნენო. ბოლოს განაცხადა, რომ იარაღით აღჭურვილი შევებრძოლები იმას, ვინც-კი გაჰბედავს და ტეიტატზე ცუდს იტყვის რასმეო. ამას შემდეგ ცხარე ბაასი ჩამოვარდა და სეტოკს ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ ამ ბაასის გამო ვისიმე სისხლი დაიღვრებოდა.

ზადიგი აქამდე ჩუმად და დინჯად იჯდა და მხოლოდ ეხლა წამოიწია. იგი პირველად კელტს დაელაპარაკა, რადგან ის უფრო ყველაზედ მეტად მძვინვარებდა და ჰყვიროდა. ყმაწვილმა კაცმა გაამართლა იგი, მოიკითხა მუხის ნაყოფი, ბერძენს მჭევრი ლაპარაკი უქო და დააწყნარა ყველანი. ჩინელს სულ ორიოდე სიტყვა უთხრა, რადგან იგი ყველაზედ დინჯად და მართებულად იქცეოდა. ბოლოს საერთოდა სთქვა:

— ჩემო მეგობრებო, თქვენ ყველანი, როგორც ვხედავ, ერთის აზრისანი ხართ და ტყუილად-კი ჰკამათობთ და ცხარედ ებაასებით ერთმანეთსაო.

ყველანი აყაყანდნენ.

— აბა სთქვით, განაგრძო ზადიგმა: განა ტყუილია, რომ თქვენ ამ მუხის ნაყოფს-კი არა სცემთ თაყვანს, არამედ იმას, ვინც მუხა გააჩინა?

— რასაკვირველიაო, სთქვა კელტმა.

— თქვენ, ეგვიპტელო, ხარის გამჩენს უფრო სცემთ მგონი თაყვანს, ვიდრე ხარს.

— მართალიაო, უპასუხა ეგვიპტელმა.

— თევზი ანესსი-კი რა არის იმის წინაშე, რომელმაც ზღვები მოგვცა და შიგ ურიცხვი თევზები გააჩინა.

— აგრეა, აგრეაო, დაიძახა ქალდეველმა.

— ინდოელი და ჩინელიც ამავე აზრისანი არიანო, დაუმატა ზადიგმა: მე ბერძენის საკვირველს ბაასს ვერ მივხვდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმასაც სწამს ის უმაღლესი არსება, რომელმაც ფორმა და ნივთიერება გააჩინა.

ბერძენმა განაცხადა, რომ ყმაწვილი კაცი ჩემს ნათქვამს კარგად მიმხვდარაო.

— მაშ ყველა ერთის აზრისანი ჰყოფილხართ და აბა რაღა გალაპარაკებდათო, იკითხა ყმაწვილმა კაცმა.

ყველანი გადაეხვივნენ და დაჰკოცნეს ზადიგი. სეტოკმა კაი მოგებით გაჰყიდა საქონელი და დაჰბრუნდა თავისს ქვეყანაში ზადიგითურთ. დაბრუნებისას ზადიგმა შეიტყო, რომ იმის იქ არ ყოფნის დროს გამოეძიებინათ და განეხილათ იმისი საქმე და გადაეწყვიტათ, რომ ზადიგი კოცონზედ უნდა დაიწვასო.

ოპიანი

(შემდეგი იქნება)

სამე ათსა და ათასს მუშა ხალხს სამუშაო გაუჩინონ. ამისთანავე კრისპის განკარგულებით აღკრძალულ იქმნა ყოველ გვარი კრებანი, ისეთ საზოგადოებათაც-კი, რომელთა მშვიდობის მოყვარეობა ყოველს ეჭვს გარეშეა. კრისპი ამაში იმითი მართლულობს თავს, რომ საშიშია ამისთანა თავ-მოყრილს კრებაზე კიდევ არ იფეთქოს ერის უკმაყოფილებამა და უწესოება არა მოხდეს რაო. ერთმა მთავრობის მოწინააღმდეგ დეპუტატმა ამის გამო დიდად გაჰკიცხა კრისპი არაფის ნება არა აქვს შეაყენოს მოქმედება კონსტიტუციისა და აღკრძალოს ის, რის ნებაცა გვაქვს მონიჭებული კონსტიტუციითაო.

## წვრილი ამბები

ერთს ოდესელს ქიმს ორი საშუალება დაუსახელებია ყალბის ღვინის გამოსაცნობად. აი პირველი საშუალება: ჭიქა ღვინოში უნდა ჩააგდოთ პურის გული და როცა გაიჟღენთება, წყლით სავსე მათლაბაში ჩასდოთ. ყალბი ღვინო მაშინვე შეჰღებავს წყალს იის ფერად, ნამდვილი, შეურევნელი-კი მხოლოდ ოდნავ მისცემს ფერს. მეორე საშუალება: უნდა აადუღოთ ღვინო და შიგ ლაზღის ძაფი ჩააგდოთ, წყალში გაჟღენთილი. შეურეველი ღვინო არ შეჰღებავს ძაფს, თეთრადვე დარჩება, ყალბი-კი გააწითლებს. ეს საშუალებანი ისე ადვილია, რომ ყველას შეუძლიან სცადოს.

— ოსმალეთის მთავრობას დაუდგენონებია, რომ ვისაც ოსმალეთში მისვლა უნდოდეს, ოსმალეთის ელჩის მიერ ხელმოწერილი პასპორტი უნდა ჰქონდეს. ამიერიდგან ოსმალეთში თუ არ ასე, სხვაფრივ არავის გაატარებენ თურმე.

— ბრაზილიაში გარდაცვლილა ჯალათი იანუარიო, 45 წლისა, ფრიად საკვირველი და საოცარი კაცი. ბრაზილიაში ჯალათად საზოგადოდ იმას ირჩევენ, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი. ჯალათმა მთელი თავისი სიცოცხლე საპატიმროში უნდა გაატაროს. ბრაზილიაში გარდაცვალა ჯალათი და იანუარიო დანიშნეს იმისს ადგილზე, რადგან რაღაც საქმის გამო ამ იანუარიოსა და იმისს მშობლებს სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამ კაცმა პირველადვე თავისი მშობელი დედმამა დასაჯა თურმე სიკვდილით. ამაზე საზიზღარი საქციელი განა იქნება-და სადმე?!

— პარიჟში ხმა დადის, ვითომ „შეუსყიდველი“ ლუიზა მიშელი ბულანჟელების დასში გადავიდაო. ამბობენ, რომ ლუიზამ ძალიან შეიყვარა ერთი არისტოკრატის ქალი, რომელსაც გენერალი უყვარს და მზად არის ცოლადაც გაჰყვეს და თავისი მილიონებიც იმას დაუმტკიცოსო. ჰკრცოგინია ლუიზა მიშელს შეჰხვედრია ერთ ავადმყოფთან და ისე მოსწონებია, რომ დაჰპირებია: ბულანჟეს 40,000 ხმას მე თითონ ვუშოვნიო. თუ გავიხსენებთ, რომ ყველაზედ მეტი ხმა პარიჟის ხელოსანთ არგუნეს ბულანჟეს, ადვილად საფიქრებელია, რომ მართლაც-და ლუიზა მიშელს უნდა ეშველნოს ბულანჟესათვის და იგი დაჰხმარებოდეს არჩევანების დროს.

## დეპეშა

8 თებერვალი

ჩარჯუი. აბდურახმან-ხანი მაზარშერიფშია და თითონვე ასამართლებს ისხაკ-ხანის მომხრეებს, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ არეულობაში. გენერალ ქრისტიანის ხელ ქვეითი რუსის ჯარი სრულიად მზად არის, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ავღანელები ამხედრდნენ ბუხარელებსა და ჩვენს წინააღმდეგ. ავღანის თურქისტანის გენერალ-გუბერნატორად ისხაკ-ხანის მაგიერ განზრახვა აქვსთ დანიშნონ გოლამ-ხაიდერი, რომელმაც ბოლო მოუღო გილზაიებისა და ისხაკ ხანის ამბოხებას.

ვენა. პეშტიდგან იუწყებიან, რომ პეშტელების დემონსტრიციის მოთავემ პასმანდიმ კომისიის დღევანდელს სხდომაზე აღძრა ლაპარაკი იმაზე, რომ საჭიროა ვენგრიაში დავაარსოთ პატრიოტთა ლიგა, ისეთი, როგორიც საფრანგეთში არისო. გადასწყვიტეს დეპეშით მიჰმართონ დერულედს და სთხოვონ საფრანგეთის ლიგის წესდების გამოგზავნა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $149^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $269^1/_2$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $252^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თებერვალი 28 დღით არის.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ხარლამპისა. კათოლ. ირინესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემადულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 5—42. მთვარე 23 დღისაა.

11 დღე შაბათი. წმ. მღვდელ-მოწამისა ვლასისა. კათოლ. წმ. ლიუცინასი. სომეხ. წმ. სააკისა. მაჰმად. მე-23 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. მთვარე 24 დღისაა.

12 დღე კვირა. ხორცით აღება. წმიდათა შორის მელეტი დიდისა, ანტიოხიის მთავარ-ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. პეტრესი. მაჰმად. მე-24 რიცხვი თთვისა ჯემადულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ქუთაისში დაარსებულ იქმნა გიმნაზია, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 5—45. მთვარე 25 დღისაა.

13 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა ჩვენისა მარტიანესი. კათოლ. წმ. იორდანესი. სომეხ. წმ. მოც. ლევონდიციანთა. მაჰმად. მე-25 რიცხვი თთვისა ჯემადულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 5—46. მთვარე 29 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 10 | „ |
| „ 2 „ | 9 | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

## განცხადებანი

№ 4711

გლიცერინის საპონი.

ამ საპონმა დიდი სახელი დაიმსახურა თავისის საუკეთესო თვისებით; იგი სხვა გლიცერინის საპნებისაგან განირჩევა გლიცერინის სიბევრით, ადვილად აქაფებითა და მშვენიერის სუნით.

მყიდველებს განსაკუთრებით ვურჩევთ იყიდონ:

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ვარდის საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ზამბახის საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე რეზედას საპონი.

№ 4711 ბროლისებრ მჭვირვალე ო-დე-კოლონის საპონი.

№ 4711 საკუთრივ გლიცერინის საპონი.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (3—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . „ 40

საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . „ 45

კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ 40

ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . „ 20

დავით ალაზნიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . „ 10

ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . „ 50

მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „

სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . 3 50

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში




ეს წიგნი შეიცავს 600 გვერდს, კარგად მოზრდილია და შიგ მრავალ გვარი ცნობებია მოქცეული. წიგნი დაყოფილია თორმეტ განყოფილებად და ყველა განყოფილების დასაწყისში დაწერილებით მოხსენებულია განყოფილების შინაარსი და სარჩევი.

წიგნი იყიდება ქუთაისსა და ფოთში, ბათუმსა და გორში, თელავსა და სიღნაღში, ხონსა და ოზურგეთში და სხვა ადგილებშიაც.

ფასი ცხრა შაური.

(10—)9

Доз. ценз. Тифлисъ 9-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე